

## კინოსკოლა და საერთაშორისო ფესტივალი - დევიდ ლინჩის გეგმა საქართველოში



ფოტო: თამარა ღამბაშიძე / On.ge

840 ნაკითხვა | 97 გაზიარება 

ამერიკელმა რეჟისორმა, მუსიკოსმა და სცენარისტმა დევიდ ლინჩმა, დღეს, 20 ნოემბერს, გიგა აგლაძესთან და თავის ფონდის წარმომადგენლებთან მედიასთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრისას ლინჩმა აღნიშნა, რომ საქართველოში გიგა აგლაძესთან ერთად კინოსკოლას ხსნის. ამერიკელმა რეჟისორმა ამ თემაზე ვრცლად ისაუბრა:

"გიგა და ამ ჯგუფის წევრები აპირებენ, რომ კინოს სკოლა გახსნან საქართველოში. რაც საერთაშორისო ფილმის ფესტივალზე გაგვიძღვება. მე სკოლების ფანი არ ვარ, მძულდა საშუალო სკოლა და ვფიქრობ, რომ იქ გატარებული ოთხი წელი დროის ვარგვა იყო. თუმცა, როდესაც პენსილვანიის სახვითი ხელოვნების აკადემიაში მოვხვდი, სკოლების მიმართ დადებითად განვწყვე. ვფიქრობ, რომ სკოლა საშუალებას გვაძლევს, რომ ვისწავლოთ ტექნიკური ხერხები, რაც ვფიქრობ, რომ კინოს მიმართულებით მოღვაწე სტუდენტებისთვის აუცილებელია".

დევიდ ლინჩის თქმით, მისი კინოსკოლა ორ მნიშვნელოვან ცოდნას მისცემს სტუდენტებს:

"ეს იქნება ტექნიკური ცოდნა და ასევე სწავლა პრაქტიკული გამოცდილების მიღებით. სწავლა კეთების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. ტექნიკური ცოდნის მიღების შემდეგ, ისინი ფილმებს გადაიღებენ".

ლინჩის თქმით, სტუდენტებს სურვილის შემთხვევაში ტრანსცენდენტური მედიტაციის მიღების საშუალებაც ექნებათ, რაც მათ მუშაობის პროცესში სიმშვიდის, ბედნიერებისა და კრეატიულობის გაზრდაში დაეხმარებათ. რეჟისორის თქმით, მედიტაცია მათ სტრესულ სამუშაოსთან გამკლავებაში დაეხმარება.

## FILM SCHOOL AND INTERNATIONAL FESTIVAL – DAVID LYNCH'S PLAN IN GEORGIA

The American film director, musician and script-writer David Lynch held a meeting today, on the 20th of November with Giga Agladze and the representatives of the Foundation.

During the meeting Lynch noted that he was intending to open a film school in Georgia together with Giga Agladze. The American film director thoroughly covered this topic:

“Giga and his team members are going to open a film school in Georgia that will lead us to the International Film Festival. I’m not a big fan of schools, I hated the secondary school and I think that those four years spent there were a real waste of time. But when I enrolled into the Pennsylvania Fine Arts Academy I changed my attitude towards schools into positive. I think that school enables us to learn technical skills that I think is indispensable for the students working in the film sphere.”

According to David Lynch his film school will have two important features for the students:

“It will be technical knowledge and learning to gain practical experience. Learning while doing is very important. They will be able to shoot films after gaining technical knowledge.”

According to Lynch students will have a possibility to learn Transcendental Meditation in case of their will. This technique will help them to increase more calmness, happiness and creativity during their work. According to the film director meditation will help them handle stressful work.